



ფინანსური განათლების სახელმძღვანელო



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

გამომცემლობა:

ბროშურა დაბეჭდილია ევროპული ფონდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის განვითარების პროგრამის (EFSE DF) მხარდაჭერით.

კონცეფცია, მაკეტი და ლიტოგრაფია ეკუთვნის ევროპულ ფონდს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის.

პასუხისმგებლობის უარყოფა:

ინფორმაცია, რომელსაც წარმოდგენილი დოკუმენტი შეიცავს, სათანადო გულმოდგინებით გადამოწმდა ევროპული ფონდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის განვითარების პროგრამის (EFSE DF) მიერ. თუმცა, EFSE-ს განვითარების პროგრამა პასუხს არ აგებს და არ წარმოადგენს გარანტიას მოცემული ინფორმაციის დროულობაზე, სიზუსტესა და სისრულეზე.

გამარჯობა, მეგობარო!

ფული ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. თუმცა, ფულის გონივრულად გადანაწილება სულაც არ არის მარტივი. ალბათ გსმენია, თუ როგორ ჩივიან ჩვენი მშობლები ან მეგობრები იმის გამო, რომ არასწორად დაგეგმეს საკუთარი ფინანსები. როდესაც არასაკმარისი ფული გვაქვს, ბევრ პრობლემას ვაწყდებით; მაგრამ, თუ არ ვიცით ფულის გონივრულად მართვა, მაშინ ბევრი ფულის ქონის შემთხვევაშიც შეიძლება მივიღოთ არასწორი გადანაწილებები!

ეს სახელმძღვანელო დაგეხმარება გონივრულად მართო საკუთარი ფინანსები. შენ ისწავლი:

- რა არის და საიდან მოდის ფული?
- როგორ ხარჯო ფული პასუხისმგებლიანად?
- როგორ გადაანაწილო ჭკვიანურად შენი შემოსავალი?
- რა სარგებელი აქვს დაზოგვას?
- რა არის ბიუჯეტი?
- საიდან მოდის დაზოგვის მოტივაცია?



ლექსიკონი:

ფული - დაგროვების, გაცვლის, გადახდის, აღრიცხვისა და ღირებულების საზომი საშუალება.

შემოსავალი - ფული, რომელსაც ვიღებთ შრომის შედეგად (მაგ., ხელფასი, სტიპენდია), კაპიტალიდან (მაგ., დეპოზიტზე დარიცხული სარგებელი), ან ქონებიდან (მაგ., სახლის გაქირავებით). ჯიბის ფული და ნაჩუქარი ფული - ესეც შემოსავალია. შემოსავალს შეიძლება ფულის გარდა სხვა ფორმითაც ვიღებდეთ - მაგ., შემოსავალი შეიძლება იყოს ბინა, რომელიც მემკვიდრეობით გადმოგვცემა, ან ატმის მოსავალი, რომელსაც მემორდგომამე ვიღებთ.

ხარჯი - ფული, რომელსაც ვიყენებთ ჩვენი სურვილების და საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, რაიმეს (მაგ. საკვების, ველოსიპედის, ბინის, ან სამოგზაურო ტურის) შესაძენად.

ნაშთი - ფული, რომელიც გვრჩება მას შემდეგ, რაც დროის გარკვეულ მონაკვეთში - მაგ., 1 თვეში - ჩვენს მთლიან შემოსავალს გამოვაკლებთ მთლიან ხარჯს. თუ ნაშთი დადებითია, ანუ 0-ზე მეტია, მაშინ მას მოგებას ვუწოდებთ.

ბანკი - ფინანსური ორგანიზაცია, სადაც შეგვიძლია თანხა დავაგროვოთ. ბანკში ჩვენს დანაზოგს დეპოზიტი ეწოდება და მას სარგებელი ერიცხება. ბანკი ასევე გვთავაზობს სხვა ფინანსურ მომსახურებებს: გასცემს სესხებს, გვენმარება ფულის გაგზავნაში საქართველოში ან საზღვარგარეთ, კომუნალური გადასახადების გადახდაში და ა. შ. ბანკის სეიფში ძვირფასეულობის შენახვაც შეგვიძლია.

საბანკო-საგადახდო ბარათი - ბანკის მიერ გამოშვებული პლასტიკური ბარათი, რომელზეც დატანილია მაგნიტური ზოლი და/ან ჩიპი და/ან უკონტაქტო ნამკითხველი, რომელზეც ინახება მომხმარებლის და ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები (სახელი, საბარათო ანგარიშის ნომერი, ა.შ.). ბარათი გამოიყენება ინტერნეტით და მაღაზიებში რაიმეს შეძენისას და ბანკომატით თანხის გამოტანისას. ბარათის გამოყენებისას უნდა მიუთითო პინ-კოდი, რომელსაც ბანკი მხოლოდ შენ გაძლევს; თუმცა ინტერნეტით, ან მცირე თანხის გადახდისას ზოგჯერ პინ-კოდის მითითება არ არის საჭირო და ეს ოპერაციები განსაკუთრებით

საყურადღებოა. გამოიჩინე სიფრთხილე: არ დაკარგო ბარათი, არავის გაანდო შენი ბარათის მონაცემები და პინ-კოდი!

დეპოზიტი - ფული, რომელსაც ბანკში ვაგროვებთ (ველოსიპედისთვის, სახლისთვის, ა.შ.), და რომელზეც სარგებელს ვიღებთ. არსებობს ვადიანი და უვადო დეპოზიტი. **ვადიან დეპოზიტს** კონკრეტული ვადით (მაგ., 2 წლით) ვხსნი და თუ ჩვენს თანხას ვადაზე ადრე გამოვიტანთ, მაშინ ნაკლებ სარგებელს მივიღებთ. **უვადო დეპოზიტს** კი, როგორც მისი სახელწოდება გვეუბნება, კონკრეტული ვადა არ აქვს და მას ნებისმიერ დროს შეგვიძლია დავამატოთ ან მოვაკლოთ თანხა. ვადიან დეპოზიტზე, როგორც წესი, მეტი სარგებელი გვეკუთვნის.

სესხი - თანხა, რომელსაც ვალად ვიღებთ და ვდებთ პირობას, რომ მას გარკვეული დროის შემდეგ დავაბრუნებთ და პროცენტსაც გადავიხდით. სესხის აღებისას ვაფორმებთ ხელშეკრულებას (შეთანხმებას), რომელშიც წერია პირობები, რაც უნდა დავიცვათ. მისი წაკითხვა აუცილებელია გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად!

სესხის გამცემი (კრედიტორი) - ადამიანი ან კომპანია, რომელმაც სესხი გასცა.

მსესხებელი - ადამიანი ან კომპანია, რომელმაც ფული ისესხა.

პროცენტი (სარგებელი) - გადასახადი, რომელსაც ერთი მხარე უხდის მეორეს იმის სანაცვლოდ, რომ გარკვეული დროით მისი ფულით სარგებლობს. თუ ბანკისგან ვისესხე ფული, პროცენტი ის თანხაა, რომელსაც ბანკს ვუხდი, ხოლო თუ ბანკში დეპოზიტზე შევინახე ფული, მაშინ პროცენტი ის სარგებელია, რომელსაც ბანკი მიხდის.

იცოდი, რომ...

ფული, როგორც გადახდის საშუალება, უძველესი დროიდან გამოიყენება? თავდაპირველად ფულის როლს სხვადასხვა ნივთი და საქონელი ასრულებდა, როგორცაა მაგ., ნიჟარები და ცხვარი. დროთა განმავლობაში ეს ნივთები მონეტებმა, მონეტები ბანკნოტებმა (ქაღალდის ფულმა), ბანკნოტები კი ელექტრონულმა გადახდის საშუალებებმა (მაგ., საგადახდო ბარათებმა) ჩაანაცვლა.

რას ნიშნავს დაზოგვა და როგორ დავზოგოთ თანხა?

1. შემოსავალი - ხარჯები > 0 (პროფიციტი)

როდესაც ჩვენი შემოსავალი ჩვენს ხარჯებზე მეტია, მაშინ გვრჩება თანხა, რომელსაც მოგებას ვუნოდებთ და რომელიც შეგვიძლია დავზოგოთ, ან სხვა მიზნებისთვის გამოვიყენოთ. ასეთ სიტუაციას „პროფიციტი“ ეწოდება.

2. შემოსავალი - ხარჯები < 0 (დეფიციტი)

როდესაც ხარჯები შემოსავალზე მეტია, მაშინ რთულ ფინანსურ მდგომარეობაში ვვარდებით, რასაც „დეფიციტი“ ეწოდება. ამ დროს გვინევს საკუთარი ფინანსური ქცევების შეცვლა და ბევრ სიამოვნებასა თუ საჭიროებაზე უარის თქმა.

3. შემოსავალი - ხარჯები = 0

ზოგჯერ შესაძლოა ჩვენი ხარჯები ზუსტად უტოლდებოდეს ჩვენს შემოსავლებს, რა შემთხვევაშიც დანაზოგს ვერ გავაკეთებთ, თუმცა არც რთულ ფინანსურ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით (ჭერჭერობით!). ასეთ შემთხვევაში არ ვართ ფინანსურად მზად მოულოდნელობებისთვის, როგორცაა, მაგალითად, დაკარგული წიგნი, ან დამტვრეული ველოსიპედი.

ფინანსების გადანაწილებისა და ბიუჯეტის შედგენის შესახებ მე-8 - მე-12 გვერდებზე დეტალურად მოგიტზრობთ.

დაზოგვა – ფულის ან სხვა რესურსის შენახვა და გონივრული გამოყენება. დანაზოგის გაკეთება შეგვიძლია მაშინ, როდესაც დროის გარკვეულ პერიოდში (მაგალითად, 1 თვეში) ჩვენი შემოსავალი ჩვენს ხარჯებს აღემატება.

ჩვეულებრივ, გამოძუშავებული ფული შეგვიძლია გადავანაწილოთ შემდეგი მიზნებისთვის:

- ფული ყოველდღიური ხარჯებისთვის
- დანაზოგი გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის
- დანაზოგი გრძელვადიანი მიზნებისთვის

„მარტო შემოსავალი კაცს არ გაამდიდრებს, თუ დაზოგვამაც ხელი არ შეუწყობ.“ (ქართული ანდაზა)

რჩევები ფულის გონივრულად მართვისთვის:

ფული სწავლითა და შრომით გამოიმუშავება

- შრომა აუცილებელია ფულის სტაბილურად გამომუშავებისთვის.
- აქციე შენი გატაცება მცირე ბიზნესად! თუ გაქვს პრაქტიკული ჰობი, როგორცაა აქსესუარების დამზადება, ვებ-გვერდების ან თამაშების/ აპლიკაციების შექმნა, ფოტოების გადაღება, ხატვა, ან კულინარია, მაშინ ადვილად შეგიძლია მისი პატარა ბიზნესად გარდაქმნა. აუცილებლად მოუყევი მშობლებს წინასწარ, თუ რის გაკეთებას აპირებ.
- რაც უფრო მეტ ინფორმაციას ნაიკითხავ და ისწავლი, მით მეტ გონივრულ გზას აღმოაჩენ საკუთარი ბიზნესის შესაქმნელად.
- თავი შორს დაიჭირე ისეთი სამუშაოსაგან, რომელიც თანხის არაკანონიერად გამომუშავების საშუალებას იძლევა!
- დაიმახსოვრე, რომ იოლად, შრომის გარეშე მიღებული შემოსავალი მაღალ რისკს შეიცავს!



მოეპყარი ფულს პასუხისმგებლობით

- არ იყიდო ისეთი ნივთები, რომლებიც ზედმეტად ძვირია, ან რომლებიც არ გჭირდება.
- საყიდლებზე ყოველთვის წინასწარ მომზადებული ჩამონათვალით ნადი, რათა არ წაგძლიოს არასაჭირო ნივთების შეძენის სურვილმა.



- სანამ რაიმეს შეიძენდე, ერთმანეთს შეადარე სხვადასხვა პროდუქტი და მათი ფასი. არ წამოეგო აქციებსა თუ შემოთავაზებებს, რომლებიც არარეალურად დიდ დანაზოგს გვპირდება.



- არ დაუჯერო ყველა რეკლამას, რომელსაც ტელევიზორში ან ინტერნეტში გადააწყდები. ყოველთვის თავად გადაამოწმე ინფორმაცია.
- წინასწარ განსაზღვრე, თუ დაახლოებით რა ელირება ესა თუ ის ნივთი და არ წაიღო საყიდლებზე საჭიროზე მეტი თანხა.
- ყოველთვის დაითვალე ხურდა, რომელსაც გამყიდველი გიბრუნებს.
- მოითხოვე და შეინახე ქვითრები.
- არასოდეს ისეხო ფული, თუ არ ხარ დარწმუნებული, რომ შეძლებ მის დაბრუნებას.
- გაუფრთხილდი საკუთარ ნივთებს, რათა დიდი ხნის განმავლობაში შეძლო მათი გამოყენება.
- ეკონომიურად მოიხმარე წყალი, გამორთე ელექტროენერგია როდესაც ოთახს ტოვებ და გაუფრთხილდი ბუნებრივ რესურსებს!
- გაუნაწილე შენი შემოსავალი მათ, ვისაც შენზე ნაკლები ფული აქვს და მათ, ვინც ფინანსური სირთულეების წინაშე დგას.

ყოველთვის დაზოგე ფული



- გადადე ფული გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის.
- დაფიქრდი, რა მნიშვნელოვანი შენაძენის გაკეთებას აპირებ უახლოეს მომავალში და დაიწყე დაზოგვა კონკრეტული მიზნებისთვის.
- შეადგინე პირადი ბიუჯეტი.
- გააანალიზე არასაჭირო ხარჯები, რომლებიც წარსულში გაგიწევია და ისწავლე საკუთარ შეცდომებზე.
- შექმენი ყულაბა, რომელშიც ფულს რეგულარულად შეინახავ. შეგიძლია ყულაბას ზემოდან დაანერო შენი მიზანი, მაგალითად, “ველოსიპედი”.

შეინახე ფული უსაფრთხოდ

- აჯობებს, ფული ბანკში შეინახო, ვიდრე ბალიშის ქვეშ.
- როდესაც მშობლები ბანკში კომუნალური გადასახადების გადასახდელად, ანგარიშის გასახსნელად, ან სხვა მიზნით მიდიან, გაჰყევი მათ, რათა გაეცნო ბანკთან ურთიერთობის წესებს.
- გამოიჩინე სიფრთხილე ონლაინ-გადახდების განხორციელებისას! არ შეიძინო ნივთები ისეთ ვებ-გვერდებზე, რომლებსაც არ ენდობი!
- გაუფრთხილდი პერსონალურ მონაცემებს, როგორცაა შენი სახელი და გვარი, პირადი ნომერი, ა.შ. და თავი შეიკავე მათი ინტერნეტით გაზიარებისგან.
- სთხოვე მშობლებს გასწავლონ, თუ როგორ გამოიყენება ბანკომატი.
- მოერიდე დანაზოგის შენახვას ისეთ ორგანიზაციებში, რომლებიც არარეალურად მაღალ სარგებელს გპირდება და რომელთა შესახებაც არ ფლობ საკმარის ინფორმაციას!



გამოიჩინე დისციპლინა ფულთან მიმართებაში

- გაეცანი წიგნებს და ვებგვერდებს მენარმეობის, დაზოგვისა და გონივრული ხარჯვის შესახებ.
- განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინე ონლაინ თამაშების ვებგვერდებთან და თავი შორს დაიჭირე აზარტული თამაშებისგან. ასეთი თამაშები შეჩვევას იწვევს; რეალურად კი, მოგების შანსი მცირეა და აზარტულ თამაშებში მონაწილეობა, უმრავლეს შემთხვევაში, ფინანსურად წამგებიანია.
- არასოდეს შეეცადო სხვებისთვის თავის მონონებას ან სხვების გაოცებას შენი ფულით!
- აუცილებლად ჰკითხე ოჯახს აზრი, სანამ რაიმე მნიშვნელოვან ფინანსურ გადაწყვეტილებას მიიღებდე.
- ისწავლე კარგად, რათა შეძლო შენი შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა და ფულის კეთილსინდისიერი გზით გამოიმუშავება!
- დაიმახსოვრე: დრო ფულია. გონივრულად გამოიყენე დრო!



- ფული არ უნდა იყოს საბოლოო მიზანი და ფულის გამოიმუშავებაზე ზრუნვამ არ უნდა მოიცვას შენი გონება. დაიმახსოვრე, რომ ცხოვრებაში ფულზე გაცილებით მნიშვნელოვანი ღირებულებებიც არსებობს, როგორცაა თავისუფლება, სიყვარული, ბედნიერება, ოჯახი და მეგობრობა.

იცოდი, რომ...

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ლარი? „ლარი“ ძველი ქართული სიტყვაა და განძს, ქონებას ნიშნავს. საქართველოს ეროვნული ბანკი ერთადერთი ინსტიტუტია, რომელსაც ქვეყანაში ლარის ემისიის, ანუ გამოშვების უფლება აქვს.



გამოცანა:

„უფეხოა, მაგრამ დადის, მისი ძალა ყველგან გადის“¹



რჩევები პირადი ბიუჯეტის შესადგენად:

პირადი ბიუჯეტი მხოლოდ მაშინ არის გამოსადეგი, როდესაც მას ყურადღებით ვადგენთ!

ბიუჯეტი - ცხრილი, რომელიც წარმოაჩენს ყველა იმ შემოსავალსა და ხარჯს, რომელიც დროის გარკვეულ მონაკვეთში (მაგ., 1 კვირაში, ან 1 თვეში) გვეკუთვნის. ბიუჯეტს ადგენენ როგორც ჩვეულებრივი ადამიანები, ისე კომპანიები და სახელმწიფო ორგანიზაციები. ბიუჯეტი შემოსავლების და ხარჯების კონტროლის საუკეთესო საშუალებაა.

დაიმახსოვრე, ბიუჯეტის შედგენა ნიშნავს არა ბედმეტ მომჭირნეობას, არამედ პირადი ფინანსების გონივრულად მართვას.

¹ პასუხი: **ცაღი**

1. დაისახე ფინანსური მიზნები

შენი ფინანსური მიზნები უნდა იყოს მიღწევადი, კონკრეტული და დროში გონივრულად განწერილი. ახლა მშვენიერი დროა იმისთვის, რომ დაისახო მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფინანსური მიზნები: ჩამოწერე ქვემოთ მოცემულ ცხრილში ყველაფერი ის, რის გაკეთებასაც მომავალში ისურვებდი:

ჩემი მიზნები	
მოკლევადიანი	გრძელვადიანი

ფინანსური მიზანი შეიძლება იყოს მოკლევადიანი ან გრძელვადიანი:

მოკლევადიანი მიზნები ისეთი მიზნებია, რომელთა მიღწევაც სწრაფად არის შესაძლებელი (მაგ. რამდენიმე კვირაში, ან რამდენიმე თვეში), და რომლებიც დიდ ფინანსურ ხარჯთან არ არის დაკავშირებული. ასეთი მიზნები შეიძლება იყოს: დაბადების დღის აღნიშვნა, უმცროსი დისთვის ახალი სათამაშოს ჩუქება, ახალი ყურსასმენების შეძენა და ა.შ. **გრძელვადიანი მიზნები** კი ისეთი მიზნებია, რომელთა მიღწევაც შედარებით დიდ დროსა (მაგ. ერთ ან რამდენიმე წელს) და ხარჯს მოითხოვს. ასეთი მიზანი შეიძლება იყოს: ფრანგული ენის კარგად შესასწავლად გაკვეთილებზე სიარული, კომპიუტერის შეძენა და ა.შ.

მას შემდეგ, რაც ჩამოწერ სიას, გამოთვალე ყოველთვიური თანხა, რომელიც უნდა დაზოგო იმისთვის, რომ მიაღწიო ამ მიზნებს.

2. გამოთვალე ყოველთვიური შემოსავალი

განსაზღვრე, თუ რამდენს შეადგენს შენი ყოველთვიური შემოსავალი. არ გამოგვრჩეს არც ერთი წყარო: ხელფასი (თუ უკვე მუშაობ), საჩუქრები, სტიპენდია და სხვა შემოსავალი. შემდეგ, დააჯამე ეს თანხები და ნახე, რამდენს მიიღებ.

3. გამოთვალე ყოველთვიური ხარჯები

გააკეთე ყოველთვიური ხარჯების ჩამონათვალი: ხარჯები საკანცელარიო ნივთებისთვის, გართობისთვის, საკვებისთვის, ტრანსპორტისთვის, მობილური ტელეფონისთვის, ქველმოქმედებისთვის და ა.შ. არ გამოგვრჩეს ფარული ხარჯებიც – მაგ., სასუსნავების ხარჯი!

4. გამოთვალე სზვაობა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის

თვის ბოლოს, მთლიან შემოსავლებს გამოაკელი მთლიანი ხარჯები და გაარკვიე, თუ რამდენს შეადგენს ნაშთი/მოგება. როგორც უკვე იცი, თუ ნაშთი დადებითია, ეს ნიშნავს, რომ შენი ხარჯები უფრო ნაკლებია, ვიდრე შემოსავლები, ბიუჯეტი კი „პროფიციტულია“, რაც კარგია; ხოლო თუ ნაშთი უარყოფითია, ანუ, 0-ზე ნაკლებია, მაშინ შენი ბიუჯეტი „დეფიციტურია“, რაც, ალბათ თავადაც ხვდები, არც თუ ისე კარგია!

თუ აღმოაჩენ, რომ შენი ბიუჯეტი დეფიციტურია, კიდევ ერთხელ უნდა გადახედო ბეშოთ მოცემულ მე-2 და მე-3 ნაბიჯს: მოგიწევს გაანალიზო და საჭიროებისამებრ, შეცვალო შენი ფინანსური ქცევები - გაზარდო შემოსავლები, და/ან შეამცირო დანახარჯები.

Nota bene! (იტალ: დაიმახსოვრე!)

ბიუჯეტი მხოლოდ და მხოლოდ პირადი ფინანსების მართვის მეთოდია; ამიტომ, გამოიჩინე მოქნილობა და მოხერხებულობა: თუ ერთგან შეამცირებ ხარჯვას (მაგ., სასუსნავების ნაწილში), შეგიძლია ის მეორეგან გაზარდო (მაგ., ახალი წიგნის, ან ფეხბურთის ბურთის შესაძენად), ან დაზოგო მეტი თანხა შენი მიზნების მისაღწევად.



დაზოგე რეგულარულად, რათა მიაღწიო ფინანსურ კეთილდღეობას!

შეადგინე შენი ყოველთვიური ბიუჯეტი (მაგალითი)



პირველ ცხრილში, ჩამოწერე თვის განმავლობაში არსებული ყველა შემოსავალი

შემოსავალი	თანხა
1. გამომუშავებული თანხა / ხელფასი	70 ლ
2. საჩუქარი	50 ლ
3. სტიპენდია / ჯილდო	50 ლ
4. ...	
მთლიანი შემოსავალი	170 ლ

ჩამოწერე თვის განმავლობაში არსებული ყველა ხარჯი

ხარჯი	თანხა
1. საკვები	60 ლ
2. ტრანსპორტი	20 ლ
3. საკანცელარიო ნივთები	30 ლ
4. გართობა	30 ლ
მთლიანი ხარჯი	140 ლ

მთლიან შემოსავალს გამოაკელი მთლიანი ხარჯი. დადებითი ნაშთი (სხვაობა) კი შეგიძლია დანაზოგის სახით გადაად.

ნაშთი

დეფიციტი (-) პროფიციტი (+)

30 ლ (პროფიციტი)

ბიუჯეტის შედგენის მიზანია გაჩვენოს შენი ფინანსური შესაძლებლობები. ეს კი დაგეხმარება შემოსავლისა და ხარჯების გონივრულად გადანაწილებაში და შესაბამისად, მეტის დაზოგვაში. თუ ნაშთი ნულის ტოლი ან უარყოფითი აღმოჩნდა, მაშინ დროა ცვლილებები შეიტანო შენს ბიუჯეტში - მაგალითად, შეამცირო ხარჯი. ამასთან, დაიმახსოვრე, რომ არსებობს როგორც აუცილებელი, ისე არააუცილებელი ხარჯი.

დაზოგე რეგულარულად და მიაღწიე შენს მიზნებს!

შეადგინე შენი ყოველთვიური ბიუჯეტი (ცარიელი შაბლონი)



პირველ ცხრილში ჩამოწერე თვის განმავლობაში არსებული ყველა შემოსავალი

შემოსავალი	თანხა
1.	
2.	
3.	
4.	
მთლიანი შემოსავალი	

ჩამოწერე თვის განმავლობაში არსებული ყველა ხარჯი

ხარჯი	თანხა
1.	
2.	
3.	
4.	
მთლიანი ხარჯი	

მთლიან შემოსავალს გამოაკელი მთლიანი ხარჯი. დადებითი ნაშთი (სხვაობა) კი შეგიძლია დანაზოგის სახით გადაადო.


ნაშთი

დეფიციტი (-) პროფიციტი (+)

ბიუჯეტის შედგენის მიზანია გაჩვენოს შენი ფინანსური შესაძლებლობები. ეს კი დაგეხმარება შემოსავლისა და ხარჯების გონივრულად გადანაწილებაში და შესაბამისად, მეტის დაზოგვაში. თუ ნაშთი ნულის ტოლი ან უარყოფითი აღმოჩნდა, მაშინ დროა ცვლილებები შეიტანო შენს ბიუჯეტში - მაგალითად, შეამცირო ხარჯი. ამასთან, დაიმახსოვრე, რომ არსებობს როგორც აუცილებელი, ისე არააუცილებელი ხარჯი.

დაზოგე რეგულარულად და მიაღწიე შენს მიზნებს!

კროსვორდი ფინანსურ ტერმინებზე:



- | | |
|--|------------------|
| 1. საქმიანობა/ბიზნესი, რომელიც ემსახურება რაიმე პროდუქციის (მაგ. შოკოლადის, ხის ავეჯის) შექმნას და რომელსაც ადამიანები ეწევიან მოგების მიღების მიზნით. | 7. ბანკი |
| 2. თანხა, რომელსაც ვიწმინდავთ/გადავდებთ სამომავლო მიზნებისთვის. | 6. ბანკოდეპოზიტი |
| 3. დაგროვების, გაცვლის, გადახდის, აღმოსავლენისა და ღირებულების სიზოში საშუალება. | 5. ინვესტიციები |
| 4. ადამიანის სურვილებისა და სურვილებების დასაკმაყოფილებლად მოხმარებული ფული. | 4. ბაზარი |
| 5. თანხა, რომელსაც ადამიანი განუვლი შრომის საფასურად იღებს. | 3. ფული |
| 6. აპარატი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ანგარიშიდან გამოვიტანოთ თანხა. | 2. დანალექი |
| 7. ფინანსური ორგანიზაცია, რომელიც იზიდავს დეპოზიტებს და გასცემს სესხებს. | 1. მონეტარული |

იცი, რომ...

1995 წლის 25 სექტემბერს მიმოქცევაში გავიდა და 1995 წლის 2 ოქტომბრიდან საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ერთდერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადდა საქართველოს ეროვნული ვალუტა „ლარი“? ქალაქის ფულის ნიშნების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 1-დან 5 წლამდე მერყეობს, მონეტები კი მიმოქცევაში გაცილებით დიდხანს ძლებს. ეროვნული ბანკი სისტემატურად ახორციელებს სმარებისათვის გამოუსადეგარი ბანკნოტების და მონეტების მიმოქცევიდან ამოღებას და მათი ახალი ბანკნოტებითა და მონეტებით ჩახაცვლებას. გამოუსადეგარი ფულის ნიშნების განადგურება ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ხდება.

გამოცანა:

*იცი, რომელი ვალუტა
გამოიყენება ევროზონაში?*²



² პასუხი: *ადგილი*

10 საინტერესო გამოჩნატქვამი ფულის შესახებ:

1. წყალსაც დაბოგვა უნდაო (*ქართული ანდაზა*).
2. ცუდად ნაშოვნი ფული სარგებელს არ იძლევა (*ინგლისური ანდაზა*).
3. ცოტაოდენი თანხის შენახვაც კი დროთა განმავლობაში დიდი დანაზოგის გაკეთების საშუალებას იძლევა (*შოტლანდიური ანდაზა*).
4. დაბოგე არა იმდენი, რამდენიც დაგრჩება ხარჯვის შემდეგ, არამედ დახარჯე იმდენი, რამდენიც დაგრჩება დაბოგვის შემდეგ (*უორენ ბაფეტი, ამერიკელი ბიზნესმენი, ქველმოქმედი, ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანი მსოფლიოში*).
5. ფულს გამრავლების უნარი გააჩნია (*ბენჯამინ ფრანკლინი, აშშ-ს ერთ-ერთი „დამფუძნებელი მამა“, საზოგადო მოღვაწე*).
6. ფულის ნაკლებობა არ არის დაბრკოლება. იდეების ნაკლებობა – აი, რა არის დაბრკოლება (*კენ ჰაკუტა, ამერიკელი გამომგონებელი და ტელეწამყვანი*).
7. კეთილდღეობა შრომის შედეგია და ის დაბოგვით იწყება (*აბრაამ ლინკოლნი, აშშ-ს მე-16 პრეზიდენტი*).
8. უფულობა შედეგია და არა მიზეზი უძლურებისა და უღონობისა და ამიტომაც ტყუილი ნუგეშია, ვინც თავის უღონობასა და უძლურებას ფულის უქონლობას აბრალებს (*ილია ჭავჭავაძე, ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ბანკირი*).
9. პატარა ნიჩბითაც ბევრი რამ გაკეთდება და ძალიან შესაძლოა ცოტ-ცოტაობიდან დიდი საქმე გამოვიდეს (*ილია ჭავჭავაძე*).
10. კრედიტი ორპირი მახვილია, ეგ იმაზედ არის დამოკიდებული, კრედიტს ვინ როგორ იმსახურებს, ვინ როგორ გამოიყენებს (*ილია ჭავჭავაძე*).

გამოცანა:

„ერთი სახის სიმდიდრეა, მას ხელი არ ეკიდება, არც წართმევა შეიძლება, და არც ფულით იყიდება, მოხუცი და ახალგაზრდა ამ სიმდიდრით იდიდება.“³



³პასუხი: *რეტაში*



ფინანსური განათლების სერიიდან